

საიჯარო ხელშეკრულება

ქ. ბათუმი

01 მარტი 2011 წელი

ფიზიკური პირი, მცხოვრები ხულო, სოფ. ოქრუაშვილები, პ/მონტაჟი № 1, პირადი (შემდგომში მეიჯარე) ერთი წლის ვადით გადასცემს, ხოლო შ.პ.ს. ვეა-ს დირექტორი (შემდგომში მოიჯარე) პირადი საწარმოს საქონლის საწყობად მიიღებს შემდეგ ქონებას (შემდგომში საიჯარო ქონება):

1. საიჯარო ქონებაა მდებარე, ქალაქი ბათუმი, დასახლება მახვილაური.
2. საიჯარო ქონება არის -კერძო-საკუთრება.
3. საიჯარო ქონება არის უფლებრივად უნაკლო და შეადგენს 163 კვადრატულ მეტრს
  - ა) საიჯარო ქონება არ არის ყადაღადადებული.
4. მეიჯარემ განაცხადა, რომ საიჯარო ქონებას არ აქვს დაფარული ნაკლი. მესამე პირს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრეტენზია საიჯარო ქონების მიმართ.
5. მხარეებმა დაადასტურეს, რომ საიჯარო ქონება ნივთობრივად უნაკლოა. მისი ხარისხი მათ შორის შეთანხმებულია. მოიჯარემ მოიწონა საიჯარო ქონების ხარისხი.
6. საიჯარო ქონება გამოყენებული იქნება კომერციული მიზნებისათვის. მხარეები ადასტურებენ, რომ მეიჯარემ საიჯარო ქონება მოიჯარეს გადასცა ვარგის მდგომარეობაში.
7. მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს გადაუხადოს საიჯარო ქირა ყოველთვიურად 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
- 7.1 აღნიშნულ თანხაზე, ხაგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების დაკავებასა და ბიუჯეტში შეტანას მოახდენს შ.პ.ს. ვეა. შესაბამისად საიჯარო გადასახადის ხელზე გასაცემი თანხა შეადგენს 520 (ხუთას ოც) ლარს.
8. საიჯარო ქირის გადახდა მოხდება ყოველი თვის 30 რიცხვამდე.
9. მოიჯარეს არ აქვს უფლება მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე ქვეიჯარით გასცეს საიჯარო ქონება.
10. მეიჯარის წერილობითი თანხმობით მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების პირებისათვის გადაცემის შემთხვევაში მოიჯარე პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე ქვემოიჯარე საიჯარო ქონებას იყენებს ხევა მიზნით, ვიდრე ეს ნებადართული იყო მეიჯარის მიერ. ამ შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია უშუალოდ შეაჩეროს ქვემოიჯარის მიერ საიჯარო ქონების არადანიშნულებისამებრ გამოყენება.
11. მოიჯარე ვალდებულია დაგვიანების გარეშე მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადაიხადოს დახარჯული წყლისა და ელექტროენერგიის ღირებულება.
12. მოიჯარე საკუთარი ხარჯებით მეიჯარის თანხმობით აწარმოებს საიჯარო ქონების რეკონსტრუქციას (რემონტი). მოიჯარე აწარმოებს რემონტის ხარჯთაღრიცხვას, რომელსაც გააცნობს მეიჯარეს.

საქართველოს იუსტიციის  
საქართველოს პროკურატურა  
შტაბი № 101  
მესამე  
თარიღი  
სალონი

საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოიჯარე უფლებამოსილია დაიტოვოს ის, რითაც მან აღჭურვა საიჯარო ქონება და რისი მოცილებაც შესაძლებელია საიჯარო ქონებისათვის ზიანის მიუყენებლად. მოუცილებელი გაუმჯობესებანი რჩება მეიჯარეს. მხარეთა წინწარი შეთანხმებით საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში,



მოიჯარემ შეიძლება მოითხოვოს მეიჯარისაგან მის მიერ საიჯარო ქონების რეკონსტრუქციისათვის დახარჯული ხარჯების ანაზღაურება.

13. მოიჯარეს არ აქვს უფლება მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე შეცვალოს (გადააკეთოს) საიჯარო ქონების დაგეგმარება.

**14. მეიჯარე უფლებამოსილია:**

მოითხოვოს მოიჯარისაგან ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

მოიჯარეს ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებლობისათვის.

**15. მოიჯარე:**

პასუხს აგებს სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანიტარული ზომების დაცვაზე.

ხელშეკრულების შეწყვეტისას ვალდებულია გონივრულ ვადაში მეიჯარეს დაუბრუნოს საიჯარო ქონება ნორმალურ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

მოიჯარე ვალდებულია დროულად, ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხადოს საიჯარო ქირა მეიჯარეს.

დ) მოიჯარეს აუნაზღაუროს ზიანი იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია საიჯარო ქირის გადაუხდელობით.

16. ეს ხელშეკრულება ვადამდე მოიშლება მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ან ამ ხელშეკრულებით დადგენილ შემთხვევებში.

17. ამ ხელშეკრულებით მოუწესრიგებელი საკითხები წყდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

18. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სახამართლოს.

მეიჯარე:



შ.პ.ს. ევა-ხ  
დირექტორი

